

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი,

----- 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი -----სახით, სახით(შემდგომში – „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე განახორციელოს შემდეგი სახის მომსახურება: საქართველოს სტანდარტის შემუშავება; საქართველოს სტანდარტის ან მისი ცვლილების რეგისტრაცია; თავფურცლის თარგმნის მეთოდით საერთაშორისო, რეგიონალური და სხვა ქვეყნის სტანდარტების, ასევე სხვა ნორმატიული დოკუმენტების რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტად; საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო რეგიონალური, მათ შორის სახელმწიფოთაშორისი სტანდარტის, ასევე სხვა ქვეყნის სტანდარტის ან საქართველოს სტანდარტის მიწოდება.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.2. დამკვეთი ვალდებულია:

ა) გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით;

4. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.2. მომსახურების ღირებულება ----- (-----) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

4.3. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის N91 დადგენილების (პოზიცია N) შესაბამისად.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ფორმით.

- 4.5. მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურისწარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20(ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 4.6. მომსახურების გაწევის შედეგების მიუხედავად, დამკვეთის მიერ გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- 4.7. დამკვეთის ინიციატივით მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსურლებელს აუნაზღაურდება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება.
- 4.8. მომსახურების დასრულება გაფორმდება უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. სხვა პირობები

- 5.1. მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.2. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი და საომარი მდგომარეობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი ვადით, გარემოებათა დასრულების შემდგომ.
- 5.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შესრულებული იქნება წერილობით და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
- 5.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, წერილობით, ----- თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.
- 5.5. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, -----.

6. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

მიმწოდებელი:შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და
მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
თბილისი, ჩარგლის ქ. N67
ტელ: 2 61-35-00
ს/კ 200 162 224
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება-ხაზინის
ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი-
707177053

გენერალური დირექტორი

დავით ტყემალაძე

